გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 57

2023 წლის 18 აპრილი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების

საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერს არ აქვს დაგეგმილი მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში წარმოდგენილი ქონების რაიმე მიზნით გამოყენება, ხოლო მათი პრივატიზების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება მათი ღირებულების შესაბამისი თანხით, გორის მუნიციპალიტეტის მერს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს აღნიშნული ქონების პრივატიზაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი 1-ის (თან ერთვის 1 (ერთი) ფურცელი) შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის #105 განკარგულება;

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხა

№	მარკა, მოდელი	VIN	სახელმწიფ ო #;	ფერი	გამოშვების თარიღი	შენიშ ვნა
1	ფოლცვაგენ პასატი	WVWZZZ3BZ5P014751	II 732 JJ	თეთრი	2004	
2	მერსედეს ბენცი 420	WDB2100721A262157	SS 209 SO	რუხი1/8	1996	
3	ფოლცვაგენ პასატი	WVWZZZ3BZ5PO15524	II 896 JJ	შავი	2004	
4	MITSUBISHI MONTERO LIMITED	JA4MW51R32J003623	FF592HH	ლურჯი 8/8	2001	
5	BMW სედანი 520 I	WBAHB51070BD59374	SS097SO	შავი	1991	
6	TOYOTA CAMRY	JTNBB46K873041905	II044JJ	რუხი	2007	